ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31232982**
თარიღი: **25/10/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი

23.10.2023 წელი

12:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.

მოწვეული სტუმრები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა,** შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ ხელმძღვანელი **ეკატერინე ჩუბინაშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე

3. შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის მოსმენა.

მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე

4.სხვადასხვა.

მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 19 ივლისს N1334 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო (ორგ.კოდი 0201) სამუშაოების დაფინანსება 35740 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 22 აგვისტოს N1530 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით გზების რეაბილიტაციის (ორგ.კოდი 0201) დაფინანსება გაიზარდა 1550000 ლარით. აქედან, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან სოფელ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია 300001 ლარით, მათ შორის რეგ,ფონდიდან-285000

ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტი-15001 ლარი; მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია გაიზარდა 869800 ლარით, მათ შორის - რეგ,ფონდის ხარჯზე - 826310 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 43490 ლარი. ჩიბათის ადმინისტარციულ ერთეულში სოფელ ჭალაში გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 37084 ლარით, რეგ.ფონდით - 35229 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 1855 ლარი; ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რეაბილიტაციაზე მიიმართა 424696 ლარი, აქედან რეგ.ფონდიდან 403461 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება - 21235 ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიმართული 81581 ლარის უზრუნველყოფა განხორციელდეს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის დაფინანსების 81581 ლარით შემცირების ხარჯზე.

ფრაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ურუშაძის ქუჩაზე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, რის შემდეგაც უნდა მოხდეს აღნიშნული ქუჩის მოასფალტება.

ასევე, ვინაიდან ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს აქვთ ძალიან დაბალი ხელფასი, მოხდეს ხელფასების 20-30%- იანი ზრდა.

გაიზარდოს სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები, რომელიც ფრაქციის თქმით მიზერულია.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის კენჭისყრაზე დაყენებისგან ფრაქციის წევრებმა თავი შეიკავეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი

მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავამ.** მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში უნდა განხორციელდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტი (პროექტის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 132 261,19 (ასოცდათორმეტიათას ორასსამოცდაერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი) ლარით) დანართის შესაბამისად.“

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვილობაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა, ამავე სამსახურის უფროსმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა. მან აღნიშნა, რომ შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ შეიქმნა მიმდინარე წლის მაისის თვეში, სადაც დასაქმებულია 16 ადამიანი, აქედან 13 შტატით არის გათვალისწინებული და 3 შტატგარეშე თანამშრომელი, სამსახურში ფუნქციონირებს ორი განყოფილება, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის. ტურიზმის განყოფილება აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიური განვითარებასთან დაკავშირებულ პროექტების შექმნასა და იმლემენტაციაში არსებითი მონაწილეობის მიღებაში. სახალხო კულტურულ და დარგობრივ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობაში, ტურისტული ლოკაციების და ობიექტების შექმნაში, აწარმოე საქართველოს პროგრამის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია დასკვნით ეტაპზე გადასულ ფერმერებს, განყოფილება აქტიურად ახდენს მონიტორინგს ხვნა-თესვის მიმდინარე სამუშაოების შესახებ. ასევე ახორციელებს მონიტორინგს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სამუშაოების შესახებ. აღნიშნული სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს, რათა დაეხმაროს ყველა დამწყებ თუ მოქმედ მეწარმეებს გარკვეული საკითხების მოგვარებაში.

ფრაქციის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა დახმარება გაეწია ფერმერებს, რაზეც ქალბატონმა ეკატერინემ უპასუხა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ხდება მონიტორინგი, განცხადება შემოტანილი ქონდა 54 ბენეფიციარს, აქედან 22 დაკმაყოფილდა.

ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა აღნიშნულ შპს-ში ხელფასის ოდენობით, რაზეც ქალბატონმა ეკატერინემ განმარტა, რომ სპეციალისტის ხელფასი შეადგენს 400 ლარს.

ფრაქციის წევრებმა ახლად შექმნილ შპს-ს წარმატებები უსურვეს და ქალბატონ ეკატერინეს ბიუჯეტის ფორმირების დროს დახმარებას შეპირდნენ.

შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

სხვადასხვა.

ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წევრები მხარს უჭერს საქართველოსთვის

ევროკავშირის სტატუსის მინიჭებას.

მაკა მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს აზიური ფაროსანა, რომელმაც გაახმო ნარგავები, მოწამლა გარემო და გაანადგურაა ფუტკარი, მიუხედავად შეწამვლითი სამუშაოებისა შედეგი არ არის.

ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ მოითხოვა ინფორმაცია, 8 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად, სადაც დაზიანდა ინფრასტრუქტურა, ოჯახები დარჩა უსახლკაროდ, რა ეტაპზეა გაწმენდითი სამუშაოები და როდის გახდება ცნობილი გეოლოგების დასკვნა.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.10.2023 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	11:55 სთ.	
2	გოჩა ჯანაშია	11 55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	12 00	